საქართველოს მთავრობის განკარგულება

N1787 2016 წლის 1 სექტემბერი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 113-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის გადასაცემი ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახეობათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 11 დეკემბრის №330 დადგენილებით დამტკიცებული ნუსხის მე-3 პუნქტის თანახმად, დამტკიცდეს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 26 აგვისტოს №5/44452 გადაწყვეტილება, დანართში მითითებული უძრავი ქონების ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადაცემის შესახებ.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი

საქართველოს მთავრობის
2016 წლის 1 სექტემბრის
№ 1787 განკარგულების

დანართი

№	მისამართი	მიწის ნაკვეთი (არასასოფლო-სამეურნეო)	საკადასტრო კოდი №
1	ზუგდიდის რაიონი, სოფელი ცაიში	13 კვ.მ	43.20.42.256
2	ზუგდიდის რაიონი, სოფელი დარჩელი	13 კვ.მ	43.25.44.165
3	ზუგდიდის რაიონი, სოფელი ჩხორია	13 კვ.მ	43.01.41.945
4	ზუგდიდის რაიონი, სოფელი ჩხორია	13 კვ.მ	43.01.41.944.